

გული, ნაწლავის დაზიანებისას აღინიშნება ფაღარათი და წონის სწრაფი კლება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნესტიანი ადგილები, სადაც მზის სხივები ვერ აღწევს, ტუბერკულოზის გამომწვევი ჩირბებისთვის ძალიან კარგ გარემოს წარმოადგენს. ხოლო კარგად განათებულ მშრალ ადგილებში ისინი ადვილად იღუპებიან.

ტუბერკულოზის მკურნალობა არ არის რეკომენდებული, დაავადებული ცხოველი ან ფრინველი უნდა დაიკლას და ლეში განადგურდეს. დაუშვებელია დაავადებული ფურის რძის გამოყენება, ხოლო ფრინველის კვერცხი შეიძლება გამოყენებული იქნეს საკონდიტრო წარმოებაში.

ტუბერკულოზით ავადდება ადამიანი!!!

ინფექციის ძირითად წყაროს ფილტვის ან ხორხის ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანი წარმოადგენს, რომელიც ხველების, საუბრის, ცემინების დროს პერში გამოყოფს მიკობაქტერიების შემცველ უმცირეს წვეთებს. ინფექციის გადაცემა ხდება პაერით (აირ-წვეთოვანი გზით). უანმრთელი ადამიანი ინფიცირდება მამის, როდესაც ბაცილები მოხვდებიან მის სასუნთქ სისტემაში.

დაავადება შეიძლება განვითარდეს მიკობაქტერიების ორგანიზმში შეჭრისთანავე ან მოგვიანებით, მრავალი წლის შემდეგ.

ადამიანი ყველაზე ხშირად ინფიცირდება ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთან დახურულ სივრცეში (ოთახი) ხანგრძლივად ყოფნისას.

ადამიანში ტუბერკულოზისათვის დამახასიათებელი ნიშნები:

1. სხეულის ტემპერატურის მომატება;
2. ღამის ოფლიანობა;
3. ადვილად დაღლა;
4. მადის დაქვეითება;
5. წონაში დაკლება.

ფილტვის ტუბერკულოზის დროს ავადმყოფი უჩივის:

1. გახანგრძლივებულ ხველას ნახველით (სამი კვირის ან მეტი დროის განმავლობაში);
2. მჩხვლეტავ ტკივილს (ჭვალს) გულმკერდის არეში;
3. ნახველში სისხლის არსებობას.

ტუბერკულოზის მკურნალობა

დროულად გამოვლენილი ტუბერკულოზის განკურნება შესაძლებელია თანამედროვე ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების გამოყენებითა სამკურნალო რეჟიმის სრული კურსის დაცვით.

მკურნალობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ტუბერკულოზის სანიმალმდეო დანესებულებაში!

თვითმკურნალობა დაუშვებელია!



ა(ა)იკ აგროსკოპის ცენტრი



ცოფი, გრუსელოზი, ტუბერკულოზი

საინფორმაციო გუაგატი

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები

ქ. ბათუმი
599 54 66 31

ქობულეთის მუნიციპალიტეტი
599 54 66 23

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
599 54 66 59

ქედის მუნიციპალიტეტი
599 54 67 30

შუახევის მუნიციპალიტეტი
599 54 68 17

ხულოს მუნიციპალიტეტი
599 54 68 95



**საქართველო, ბათუმი, 6010,
ბაქოს ქუჩა № 46ა
ტელ.: +995 (422) 27 64 65
www.agrosc.ge**

**ქმნათუმი
2018 წელი**

ცოფი

ცოფი ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებით. ძველ დროში დაავადებას „წყლის შიშაც“ უწოდებდნენ. მის მიმართ ამთვისებელია ყველა სახის თბილსისხლიანი ცხოველები.

ცოფით შეიძლება დაავადდეს ადამიანიც!!!



ვირუსი მრავლდება დაავადებული ცხოველის სანერწყვე ვირუსებში, ის არ არის მდგრადი გარემო პირობების მიმართ.

დაავადების გამავრცელებლები და აქედან გამომდინარე, ადამიანისათვის განსაკუთრებით საშიში არიან მანანალა ძაღლები და კატები, მელიძები, მგლები, ლაშურები და ვირთხები.

ინკუბაციური პერიოდი ყველაზე ხშირად 2 – 6 კვირაა, თუმცა შეიძლება ნელინადზე მეტიც გასტანოს. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია კენის ადგილსა და სიძლიერეზე, აგრეთვე დაავადებული ცხოველის ნერწყვში ვირუსის სიძლიერეზე; ყველა ცხოველში ცოფის მიმდინარეობა მეტ-ნაკლებად მსგავსია.

მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ძირითადად დაავადების დამბლით ფორმას ეხვება - ცხოველი ნახირს ჩამორჩება, წვეეტს ცოხნას, გამოეყოფა დიდი რაოდენობით ნერწყვი, უჭირს ყლაპვა, ვითარდება კიდურების დამბლა.

ძაღლებში დაავადების პირველ ეტაპზე (გრძელდება 1 – 3 დღე) ძალი გაურბის ადამიანს, იმალება ბნელ ადგილებში, არ რეაგირებს პატრონის ძახილზე, ნაკენ ადგილებზე ძლიერ ტკივლს განიცდის. მომდევნო ეტაპზე (4 – 7-ე დღე) ძალი აგრესიული ხდება, ღრღინს უჩვეულო საგნებს - რკინას, ფოსს, თავს ესხმის სხვა ცხოველებს, ადამიანს და საკუთარ პატრონსაც კი. დაავადებულ ძაღლს აღენიშნება პალუცინაციები, კრუნხვითი შეტყეები, სიცილი.

ქვედა ყბის ჩამოვარდება, ნერწყვდენის გაძლიერება, ყვეა ხრინინი ხდება, დროდადრო ისმის ყბული. უარს ამაბობს საკვების მიღებაზე. დაავადების ბოლო ეტაპზე ძაღლს უნვითარდება თვალის, ქვედა ყბის, ენისა და კიდურების კუნთების დამბლა. სიარულისას ბარბაცებს ან უკანალს მიათრევს. დაავადებული ცხოველი კომაში ვარდება და კვდება. დაავადება უფრო ხშირად მიმდინარეობს 6-8 დღე, იშვიათად 8-12 დღე.

პირუტყვატყია

ცხოველები იცრებიან ცოფის ვაქცინით ნელინადში 2-ჯერ.

ცხვარი და თხა დაავადების დროს აგრესიულია, განსაკუთრებით კი ძაღლის მიმართ. იჩქნება, კბილებს აკრატუნებს, ბეზებს აბაკუნებს, სქესობრივად აღგზნებულია. ამ დროს უწყვეტად მოედინება ნერწყვი, ვითარდება კიდურების დამბლა. ავადმყოფი ცხოველი მესამე-მეექვსე დღეს იღუპება.

დაავადებისაგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა შინაურ ცხოველთა დროული ვაქცინაცია, მათი მანანალა ცხოველებისაგან დაცვა. აგრეთვე მნიშვნელოვანია დაავადებაზე დიაგნოზის დროული დასმა და დაავადების გავრცელების კერების მოსპობა.

ადამიანი ავადდება დაავადებული ცხოველის კენის ან დანერწყვის შედეგად. ცხოველის მიერ დაკბენილ ადამიანს ვაქცინაცია უტარდება.

იმ შემთხვევაში, თუ ცხოველში დადგინდა ცოფით ავადმყოფობა ან როცა დიაგნოზის დადგენა შეუძლებელია.

დაავადებული ცხოველი გაურავალა დაუფხვნილი!!!

დაავადებულ ცხოველს სპობერ, რადგან ასეთი ცხოველი დაკავშირებულია ადამიანის დასნებოვნების რისკთან.



პ რ უ ც ე ლ ო შ ი

ბრუცელოზი ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა.

ქლინიკური ნიშნები - ცხოველებში კლინიკური გამოვლინება აბორტები. ადამიანები ავადდებიან ცუდად მოხარშული, არასაკმარისად შემწვარი ხორცის, უმი რძის

და მისგან დაზავებული ნანარმის გამოყენებით. ბრუცელოზზე დიაგნოზი ისმება ბაქტერიოლოგიური, სეროლოგიური და ალერგოული გამოკვლევების საფუძველზე ეპიზოოტიური მონაცემების და კლინიკური ნიშნების გათვალისწინებით.

პროფილაქტიკური ღონისძიებები - მოწინავე ქვეყნებში გამოიყენება ცხოველთა იმუნიზაცია. ჩვენს პირობებში ვიყენებთ ბრუცელოზისაგან გაჯანსაღების კომპლექსურ ღონისძიებებს (გამოკვლევა და ვეტერინარული წესების დაცვით დაავადებულ ცხოველთა იზოლაცია - დაკვლა).



ტუბერკულოზი

ტუბერკულოზი ცხოველთა და ფრინველთა ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც უპირატესად იწვევს ტუბერკულოზის ვაკუფის მიკობაქტერიები, რომლებიც უშირესად აზიანებენ ფილტვებს, შედეგადაც ყალიბდება დაავადების ყველაზე გავრცელებული ფორმა - ფილტვის ტუბერკულოზი. ტუბერკულოზით ავადდება მრავალი სახეობის ცხოველი და ფრინველი, უფრო მეტად მსხვილი რქოსანი პირუტყვი და ღორი.

დაავადების გამომწვევი საკმაოდ გამძლეა, მას შეუძლია სიცოცხლის უნარიანობა შეინარჩუნოს მრავალი თვის განმავლობაში საძოვარზე და ფეკალურ მასაში.

დაავადება ვრცელდება ინფიციური ცხოველის ნახველით, შარდისა და სასქესო ორგანოების გამონაყოფით, ფეკალური მასით და აგრეთვე რძით. დაავადება შეიძლება გავრცელდეს დაგრძობის დროსაც.

ტუბერკულოზის დროს ფილტვებში ირღვევა აირცვლა, მცირდება ერთობლივების ნარმოქმნა, რაც იწვევს სისხლნაკლებობას და შესაბამისად, ფანგბადის უკმარისობას. თუ ამას ნაწლავის დაზიანებაც დაერთო, ცხოველი სწრაფად იფიტება და კვდება.

მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში, აგრეთვე ცხვარსა და თხაში, დაავადება ძირითადად ქრონიკულად მიმდინარეობს. ამ დროს აღინიშნება სხეულის ტემპერატურის უშიშვნელო ზრდა, სველი ხელა. ავადმყოფი თანდათან ხდება, ბენეი აბურძნელია, კანის ელასტიურობა დაკარ